



---

# Strengthening Culture of Peace

---

## **Manual for Educators**

*(Georgian Language extract)*

*Authors: Iveta Gogava, Lusine Poghosyan, Bakhtiyar Aslanov  
Editor: Israel Peralta*



Coordinated by:



Funded by:



Robert Bosch **Stiftung**

Supported by:





## სამშვიდობო განათლების კომპეტენციის ჩარჩო<sup>1</sup>

### კონტექსტი

სამშვიდობო განათლების კომპეტენციის აღნიშნული ჩარჩო გახლავთ წინამორბედი ნაშრომის ადაპტირებული ვერსია, რომელიც თავის მხრივ შემუშავებული იყო სამშვიდობო განათლების მეინსტრიმინგის სერიის ფარგლებში, უფრო ზუსტად კი გახლდათ პუბლიკაცია „მშვიდობის სწავლების შემუშავება“. პუბლიკაციის მიზანია „ხელი შეუწყოს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ჩართულ განმანათლებლებს სამშვიდობო განათლების აქტივობების განვითარებაში. სამშვიდობო განათლების კომპეტენციის ჩარჩოს ამოცანა არის ახლოგაზრდებთან და არაფორმალურ სექტორში, სამშვიდობო მიმართულებით მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმის გაზრდა, მათთვის დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების გაზიარება, რომლებიც თავის მხრივ, სამშვიდობო განათლების გზით დაეხმარება ახლოგაზრდებს კომპეტენციების განვითარებაში“.

მოცემული პუბლიკაციის მიზანია იმ წინადადების ადაპტირება, რომელიც წარმოდგენილია პუბლიკაციაში „მშვიდობის სწავლების შემუშავება“ და მორგებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის თავისებურებებს. ამ პუბლიკაციაში შემუშავებული ჩარჩო ეყრდნობა პუბლიკაციის თანავტორების მიერ აღმოჩენილ საჭიროებებს და მაქსიმალურად არის მორგებული სამხრეთ კავკასიის რეალობას.

აღნიშნული პუბლიკაციის თანავტორების და „მშვიდობის სწავლების შემუშავება“-ს შექმნაში ჩართული ექსპერტების მიერ გაწეული შრომა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

1. სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც თანავტორებმა შეისწავლეს სხვადასხვა ინსტრუმენტები, ჩარჩოები და მასალები სამშვიდობო განათლების თემაზე.
2. სავლე მუშაობა, რომლის ფარგლებში თანავტორებმა შეასრულეს საჭიროებების კვლევა. კვლევა მიზნად ისახავდა რეგიონში მომუშავე განმანათლებლების მხრიდან ინფორმაციის მიღებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სამშვიდობო განათლების თემის ჩართვა თავიანთ საგანმანათლებლო საქმიანობაში.

<sup>1</sup> სამშვიდობო განათლების მეინსტრიმინგის სერიის ფარგლებში შემუშავებული პუბლიკაციის „მშვიდობის სწავლების შემუშავება“ - სამშვიდობო განათლების კომპეტენციის ჩარჩო და საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები“ ადაპტირებული ვერსია - ლიცენზირებული CC BY-SA. რეგისტრირებული ISBN: 978-0-9956601-1-3/ ადაპტირებული და განხილული იქნა ძირითადი სტრუქტურები. დასახელებული კომპეტენციები და სასწავლო მიზნები ემყარება სამაგიდო კვლევას, სავლე მუშაობას, სემინარებიდან მიღებულ უკუკავშირებს და ადაპტირებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. ზოგიერთი განმარტება გადმოტანილია ორიგინალიდან და ადაპტირებულია აღნიშნული პუბლიკაციისთვის.



3. 2018 წლის 19-23 ივნისს თბილისში ჩატარებული სემინარის „სამშვიდობო კულტურის გაძლიერება“ ფარგლებში მიღებული უკუკავშირის დამუშავება. აღნიშნულ სემინარში მონაწილეობას იღებდა 15 განმანათლებელი სამხრეთ კავკასიიდან. სემინარის მონაწილეების მიერ გაცემული უკუკავშირი და მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა მოცემულ პუბლიკაციაში.

4. „მშვიდობის სწავლების შემუშავება“-ს ერთ-ერთი ავტორის მიერ გაწეული კონსულტაცია და კონცეპტუალური ასპექტები შეტანილია ნაშრომში.

### **სამშვიდობო განათლების კომპეტენციის ჩარჩოს „სამშვიდობო კულტურის გაძლიერება“ მიზანი**

პუბლიკაციაში წარმოდგენილი ჩარჩო შეიქმნა განმანათლებლებისთვის, რათა მათ გააზიარონ სამშვიდობო კულტურა და მოახდინონ სამშვიდობო განათლების ინტეგრირება თავიანთ საგანმანათლებლო აქტივობებში სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბით.

### **ჩარჩო მიზნად ისახავს განმანათლებლების გაძლიერებას ქვემოთჩამოთვლილი ხერხებით:**

1. სამშვიდობო განათლების ზოგადი მიმოხილვა და მასში შემავალი დისციპლინების გაზიარება;
2. თეორიული ექსკურსი სამშვიდობო თემატიკასა და კონფლიქტების კვლევაზე;
3. მოსწავლეებთან გასავითარებელი ძირითადი საკვანძო კომპეტენციების ჩამონათვალი;
4. სამშვიდობო განათლებასთან დაკავშირებით სასწავლო მიზნებისათვის წინადადებების შეთავაზება.

### **კომპეტენციის ჩარჩოს სტრუქტურა:**

1. შესავალი არაფორმალურ სამშვიდობო განათლებაში;
2. არაფორმალურ განათლებაში სამშვიდობო განათლების თემატიკის წარდგენა;
3. მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშვიდობის აღმშენებლობის კონცეპტუალური ბაზა;
4. მშვიდობიანი ცხოვრების კომპეტენციის სფერო;
5. მშვიდობის აღმშენებლობის კომპეტენციის სფერო;



**მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშვიდობის აღმშენებლობის კონცეპტუალური ბაზა** ცოდნაზე დაფუძნებულ სფეროს წარმოადგენს.

აღნიშნული სფეროს ფარგლებში, განმანათლებელს შეუძლია აღმოაჩინოს სწორედ ის ძირითადი საკითხები და ცოდნა, რომელიც დაეხმარება მონაწილეს, მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშვიდობის აღმშენებლობის მიზნით, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გააზრებაში.

**მშვიდობიანი ცხოვრების** კომპეტენციის სფერო მოიცავს იმ კომპეტენციებს, რომლებიც დაკავშირებულია ჰარმონიულ თანაარსებობასთან საკუთარ თავთან, ყველა ცოცხალ არსებასთან და ეკოსისტემასთან მიმართებაში.

**მშვიდობის აღმშენებლობის** კომპეტენცია მოიცავს იმ კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა **მშვიდობის აღმშენებლობის მიმართულებით აქტივობების ინიცირებისა და განხორციელებისათვის**.

ზემოთ აღნიშნული ორივე სფერო ფაქტობრივად არაფორმალური განათლების მიდგომების განუყოფელი ნაწილია. ორივე კომპეტენციის სფერო დაკავშირებულია ინდივიდის ქცევასთან, რომელსაც მივყავართ კონფლიქტის ტრანსფორმაციისკენ და რომელსაც შეაქვს თავისი წვლილი მშვიდობის კულტურის აღმშენებლობაში.

ორივე კომპეტენციის სფერო ერთი პროცესის ნაწილია. მეტიც, ისინი მიზნად ისახავს ადამიანების თუ ეკოსისტემის პოტენციალის განვითარებას და არაძალადობრივი, მდგრადი, მშვიდობიანი ფორმის მიდგომების და ურთიერთობების შექმნას ინდივიდებს და საზოგადოებას შორის.

სამი ძირითადი კომპეტენციის სფერო მოიცავს სასწავლო ამოცანებს და ძირითად ცოდნას, უნარებს და დამოკიდებულებებს, რომელთა გათვალისწინებაც შეუძლია განმანათლებელს საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვისას. ის ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია სვეტის „ძირითადი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები“ ქვეშ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ზოგადი მაგალითების სახით და არა როგორც სრული და საბოლოო ჩამონათვალი.

თავი	ძირითადი შინაარსი
1. შესავალი არაფორმალურ სამშვიდობო განათლებაში	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშვიდობო განათლების ძირითადი კონცეფცია და თეორია</li> <li>• არაფორმალური სამშვიდობო განათლების პრინციპები</li> </ul>
2. სამშვიდობო განათლების ჩართვა არაფორმალური	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშვიდობო განათლების ელემენტების გათვალისწინებით</li> </ul>



განათლების საქმიანობაში	აქტივობების დაგეგმვის ეტაპობრივი ინსტრუქცია
3. მშვიდობიანი ცხოვრების კონცეპტუალური ბაზა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი ცნებები და ცოდნა მშვიდობიანი ცხოვრების და მშვიდობის აღმშენებლობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაგებისათვის</li> </ul>
4. მშვიდობის აღმშენებლობის კომპეტენციის სფერო	<ul style="list-style-type: none"> <li>• მრავალფეროვან და ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში მშვიდობიანი თანაარსებობის კონკრეტული კომპეტენციები საკუთარ თავთან, სხვებთან და ეკოსისტემასთან ურთიერთქმედების პირობებში</li> <li>• სხვებთან თანამშრომლობით მშვიდობის აღმშენებლობის კონკრეტული კომპეტენციები არაძალადობრივი ტრანსფორმაციული ცვლილებების პროცესების დაგეგმვის გზით</li> <li>• თითოეული კომპეტენციის სასწავლო მიზნები</li> </ul>

### 1. შესავალი არაფორმალურ სამშვიდობო განათლებაში

სამშვიდობო განათლება წარმოადგენს სამშვიდობო კულტურის ხელშეწყობის ინსტრუმენტს სამი განზომილებით: შინაგანი, სოც-პოლიტიკური და ეკოლოგიური; განსაკუთრებით ინდივიდთა კომპეტენციების განვითარების გზით.

სამშვიდობო განათლება შესაძლოა გამოვყოს მშვიდობის აღმშენებლობის სხვა ინსტრუმენტებისგან შემდეგით:

- განათლების სახეობა, რომელიც მიმართულია ინდივიდების კომპეტენციების განვითარებაზე;
- განათლების ჰოლისტიკური ფორმა, რომელიც მუშაობს სწავლების შემეცნებითი, ემოციური და ტაქტიკური მიდგომების საშუალებით;



- მულტიდისციპლინარული, რომელიც მშვიდობის ჰოლისტიკური ხასიათის გათვალისწინებით მოიცავს დისციპლინების ფართო სპექტრს.

სამშვიდობო განათლების მეთოდებს და საგანმანათლებლო ინსტრუმენტებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი მახასიათებლები:

- კონკრეტული პასუხის და განსაზღვრების მიცემის ნაცვლად, ისინი მონაწილეს აძლევენ შესაძლებლობას თავად გამოიტანოს დასკვნები;
- ისინი მაღალი ხარისხით არიან დამოკიდებულნი მონაწილეთა კონტრიბუციაზე;
- შეჯიბრებითობაზე მეტად ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობაზე დამყარებულ სწავლებას;
- ეს მეთოდები ჰოლისტიკურია, ისინი ყველა სფეროს ეხება იმისდა მიუხედავად, თუ კომპეტენციის რომელ სფეროს მიეკუთვნება სწავლების შედეგი ან ინდიკატორი. იგივე ეხება შინაგან, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკოლოგიური სწავლების განზომილებებს;
- ისინი მოქნილია და მარტივად ერგება მონაწილეთა საჭიროებებს, მონაწილეთა უკუკავშირის ან ზოგადი მონიტორინგის თუ შეფასების მეშვეობით შესაძლებელია საგანმანათლებლო აქტივობებისათვის მიუღებელი ინსტრუმენტების და მეთოდების ცვლილება;
- ისინი ეფუძნება გამოცდილებასა და რეფლექსიას;

სამშვიდობო განათლებაში გამოყენებადი სფეციფიკური მეთოდების მაგალითებია:

- ვორკშოპები და დისკუსიები, რომლებიც მონაწილეთს აძლევს შესაძლებლობას შეიმუშავონ და გაუზიარონ ერთმანეთს იდეები და მოსაზრებები ამა თუ იმ თემაზე;
- სტრუქტურირებული ჩართულობითი სესიები ძირითადი თემატური ცნებების და ნასწავლის კონცეპტუალიზაციისათვის;
- მონაწილეთა ემოციური ჩართულობისთვის საჭირო სიმულაციური აქტივობები და როლური თამაშები, რომელთა მეშვეობითაც ისინი კონკრეტულ სიტუაციებში აღმოჩნდებიან. ეს საშუალებას აძლევს განმანათლებელს, მოახდინოს დაკვირვება მათ ქცევაზე, დამოკიდებულებებზე და ემოციებზე და აღნიშნული გამოცდილება გამოიყენოს კომპეტენციის განვითარებისას;
- სავარჯიშოები, რომლებიც ხელს უწყობს მონაწილეთაში კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითობის განვითარებას, ე.წ. „ყუთის გარეთ აზროვნებას“;
- „ქეის სთადი“, რომელიც ხელს უწყობს ანალიტიკურ აზროვნებას და წარსულში მიღებულ თუ მიმდინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკვეთილის გამოტანას;



- სასწავლო ვიზიტები ცოდნის გაღრმავების მიზნით და მონაწილეთა შთაგონება სხვა ადამიანების მიერ გაწეული სამუშაოს მაგალითებით;
- თეატრის მეთოდები, როგორც არის მაგალითად „ჩაგრულთა თეატრის“ ვარიაციები;
- მონიტორინგი და შეფასება (მაგ.: სასწავლო მიზნების, დღიური რეფლექსიების, შეფასების ფორმების ერთობლივი ჩამოყალიბება) - ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, მონაწილეთა მხრიდან მყისიერი უკუკავშირის მიღებას, რომელიც მონაწილეთა საჭიროებებზე დაუყოვნებელი რეაგირების, შეფასების და გამოცდილებაზე სწავლების საშუალებას იძლევა.

განმანათლებლის ან განმანათლებლების გუნდის დავალებაა, სამშვიდობო განათლების მიდგომების, პრინციპების და მახასიათებლების გათვალისწინებით მოარგონ მიზნობრივ ჯგუფს სათანადო საგანმანათლებლო მეთოდი, შეარჩიონ საგანმანათლებლო გზა და აქტივობების რიგითობა.

ისევე, როგორც ღირებულებაზე დაფუძნებული ნებისმიერი განათლება, სამშვიდობო განათლების საგანმანათლებლო სისტემა უნდა ასახავდეს იმ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომელთაც ის ეფუძნება. ასე რომ, ნებისმიერი პროგრამა, რომელიც ემყარება კომპეტენციის ჩარჩოს, უნდა იყოს კავშირში კომპეტენციის სფეროების ღირებულებებთან.

### **კომპეტენციის განვითარება**

სამშვიდობო განათლება ფოკუსირდება კომპეტენციის განვითარებაზე. კომპეტენცია აღიქმება, როგორც ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა:

- ცოდნა არის ის, რაც პიროვნებამ იცის და ესმის გამოცდილებაზე და მიღებულ განათლებაზე დაყრდნობით;
- უნარები, ეს არის პრაქტიკის შედეგად ქმედების განხორციელების ან რაღაცის გაკეთების შესაძლებლობა;
- დამოკიდებულება, ეს არის ნაფიქრის, რაღაცის მიმართ გარკვეული გრძნობის, ღირებულებების და გამომუშავებული ქმედების ერთობლიობა

### **მულტიდისციპლინარული და ჰოლისტიკური საგანმანათლებლო მიდგომა**

სამშვიდობო განათლება მიზნად ისახავს კომპეტენციების განვითარებას ძალზედ კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ სფეროებში. როგორც უკვე ვახსენეთ, მშვიდობის მისაღწევად აუცილებელია ყველა -






შინაგანი, სოციალურ-პოლიტიკური და ეკოლოგიური განზომილებების გათვალისწინება. შესაბამისად, სამშვიდობო განათლება არის ჰოლისტიკური და მრავალდისციპლინარული.

მისი ჰოლისტიკური მახასიათებლები ასახულია სამშვიდობო განათლების ორ ასპექტში. პირველი, სამშვიდობო განათლება ფოკუსირებულია გონების, გულის და სხეულის განვითარებაზე. ის წარმოადგენს განათლების ფორმას, რომელიც მოიცავს სწავლებას შემდეგ სამ ასპექტში: კოგნიტიური სწავლება, ემოციური სწავლება და ტაქტიკური სწავლება.

მეორე, სამშვიდობო განათლების ჰოლისტიკური მიდგომების აღმოჩენა შეიძლება მის მულტიდისციპლინარულ ხასიათში. სამშვიდობო განათლება მოიცავს განათლების ურთიერთდაკავშირებულ ფართო ფორმებს, რომელთა მიზანი არის მშვიდობიანი ცხოვრების და მშვიდობის აღმშენებლობის კომპეტენციის განვითარება.





ამრიგად, არაფორმალური განათლება განათლების ტრანსფორმაციული ფორმაა, რომლის მიზანია შეცვალოს ადამიანების გრძნობები, აზროვნება და ქცევები. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს საზოგადოებისათვის მისაღები ფორმით კონფლიქტების გადაჭრას საკუთარი თავის, სხვების და გარემოს ქცევების და დამოკიდებულებების არაძალადობრივი მიდგომების გაძლიერებით.

## **2. სამშვიდობო განათლების ჩართვა არაფორმალური განათლების პროგრამებში**

ძალზედ მნიშვნელოვანია და აუცილებელია სამშვიდობო განათლების ელემენტების ინტეგრირება არაფორმალური განათლების აქტივობებში. ამის ჩართვა შესაძლებელია როგორც ტრანვერსალური ელემენტის, ან აღნიშნულ თემაზე ფოკუსირებული დაგეგმილი კონკრეტული საგანმანათლებლო ელემენტების სახით. წარმოდგენილი კომპეტენციის ჩარჩო ძირითადად გამოსადეგია არაფორმალურ განათლებაში სამშვიდობო განათლების შეტანის დაგეგმარების პროცესისთვის. ქვემოთ მოყვანილი რჩევები დაგეგმარებათ დაგეგმარების ფაზაში გასავლელი ყველა ნაბიჯის გარკვევაში:

### **ნაბიჯი 1: მონაწილეთა საჭიროებების გარკვევა**

განმანათლებელს შეუძლია მონაწილეთა დაუსვას კომპეტენციის ჩარჩოში სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული კითხვები. ძალზედ მნიშვნელოვანია კომპეტენციის და სასწავლო მიზნების იმ სფეროს განსაზღვრა, რომელიც კავშირშია დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობების ძირითად თემასთან.

**ნაბიჯი 2: საჭიროებების და სასწავლო ამოცანების ერთმანეთთან დაკავშირება**  
საჭიროებების გარკვევის შემდეგ საჭიროა კომპეტენციის ჩარჩოს მიხედვით სასწავლო ამოცანების გადახედვა. ამისათვის, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ არის დაკავშირებული საჭიროებები ჩარჩოს კომპეტენციის სფეროსა და სასწავლო ამოცანებთან.

**ნაბიჯი 3: არჩეული სასწავლო შედეგებისთვის ინდიკატორების ჩამოყალიბება**  
ამ ეტაპზე, განმანათლებელი აყალიბებს კომპეტენციის ჩარჩოს სასწავლო ამოცანების ინდიკატორებს.

### **ნაბიჯი 4: პროგრამის შექმნა**

მას შემდეგ, რაც გაირკვევა სასწავლო ამოცანები და ინდიკატორები, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ სად შეიძლება სამშვიდობო განათლების კომპონენტის ჩართვა სატრენინგო პროგრამაში. ეს



კომპონენტები შეიძლება იყოს ტრანსვერსალური და/ან სპეციალურად შემუშავებული სატრენინგო პროგრამის რომელიმე ნაწილისთვის.

ნაბიჯი 5: სათანადო სასწავლო ინსტრუმენტების და მეთოდების განსაზღვრა არაფორმალური განათლების მეთოდის შესარჩევად, რომელიც კომპეტენციის ჩარჩოს დაგეგმილი სასწავლო შედეგების და გაწერილი ინდიკატორების შესაბამისი იქნება, შესაძლებელია როგორც სხვა პროფესიონალებისთვის, მათ შორის „სამშვიდობო კულტურის გაძლიერების“ გუნდის წევრების შემოქმედებითობის ჩართვა ან არსებული ინსტრუმენტებიდან რაიმეს შერჩევა.

### 3. კონცეპტუალური ბაზა მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშვიდობის აღმშენებლობისთვის

მშვიდობიანი ცხოვრების და მშვიდობის აღმშენებლობის კონცეპტუალური ბაზა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საბაზისო ცოდნას, რომელთა თანმიმდევრული გამოყენება მნიშვნელოვანია რეგიონებში მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მშვიდობის აღმშენებლობისათვის.

მონაწილეთათვის მნიშვნელოვანია საბაზისო თეორიული ცოდნის მიღება აღნიშნულ თემაზე იმისათვის, რომ შეძლონ ინფორმაციის დაკავშირება რეალობასთან, განავითარონ პრაქტიკული უნარები; ასე ვთქვათ, გამოიყენონ ის მშვიდობიანი ცხოვრების და მშვიდობის აღმშენებლობისას როგორც ინდივიდუალურ, ასევე, საზოგადოებრივ და გლობალურ დონეზე.

კონცეპტუალური ბაზის სფეროს მიმოხილვა

ძირითადი ასპექტები	სასწავლო მიზნები	ძირითადი ცნებები
<p><b>1.1. შინაგანი, სოციალური - პოლიტიკური და ეკოლოგიური</b></p>	<p>მონაწილეს უძლევს შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>განსაზღვროს შინაგანი, სოციალურ-პოლიტიკური და</li> </ul>	<p>შინაგანი სიმშვიდე სოციალური მშვიდობა ეკოლოგიური მშვიდობა ურთიერთდამოკიდებულება</p>



<p><b>მშვიდობა და მათი ერთმანეთთან კავშირი</b></p> <p>ეს კომპეტენცია ფოკუსირებულია შემდეგი განზომილებების: მშვიდობის, თავად აქტორების, პროცესების და კონტექსტის ერთმანეთთან არსებული კავშირის გაგებაზე. ამ კომპეტენციაზე ყურადღების გამახვილებით, მონაწილე ავითარებს თავის შეხედულებას იმის თაობაზე, თუ როგორ კავშირში არიან ეს განზომილებები ერთმანეთთან ან/და როგორ მომგებიან თუ წამგებიან გავლენას ახდენს ერთი განზომილება მეორეზე.</p>	<p>ეკოლოგიური მშვიდობის დონეების ერთმანეთთან კავშირი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აღმოაჩინოს ცნებები და თეორიები, რომლებიც მშვიდობას სხვადასხვა დონეზე ხსნიან;</li> <li>• გაიგოს არსებული ურთიერთკავშირები და მათი გავლენა ინდივიდზე, საზოგადოებასა და ეკოსისტემაზე</li> <li>• დაადგინოს ინდივიდუალური კეთილდღეობის კავშირი სხვების კეთილდღეობასთან და ეკოსისტემასთან</li> <li>• გაიგოს მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშვიდობის აღმშენებლობისათვის სასურველი ურთიერთკავშირის არსებობის მნიშვნელობა</li> <li>• დაადგინოს სასურველი კავშირის ჩამოყალიბების და გამოყენების</li> </ul>	
--	---	--



	ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები	
<p><b>1.2. მშვიდობა და კონფლიქტი</b></p> <p>ეს კომპეტენცია ეხება მშვიდობის და კონფლიქტის ცნებებსა და სხვადასხვა ასპექტებს. აღნიშნულ კომპეტენციაზე ფოკუსირებით, მონაწილე გამარტივებული მიდგომების დაძლევიტ იგებს და იღრმავებს ცოდნას კონფლიქტებისა და მშვიდობის კომპლექსურობაზე.</p>	<p>მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვროს მშვიდობისა და კონფლიქტის ცნებები;</li> <li>• განიხილოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცნებები და თეორიები კონფლიქტსა და მშვიდობაზე;</li> <li>• გაიგოს მშვიდობის კულტურის ცნება, მისი მახასიათებლები და მოახდინოს მისი მნიშვნელობის აღიარება;</li> <li>• განიხილოს კონფლიქტთან დაკავშირებული განსხვავებული თეორიები, სტრატეგიები, სტილები და მიდგომები;</li> <li>• აღიაროს არაძალადობრივი გარემოს მნიშვნელობის ინდივიდების, საზოგადოების და ეკოსისტემის</li> </ul>	<p>კონფლიქტი</p> <p>მიდგომები და სტრატეგიები</p> <p>მშვიდობა</p> <p>არაძალადობრივი, ძალადობრივი</p> <p>მშვიდობიანი კულტურა</p>



	<p>კეთილდღეობისა თვის.</p>	
<p><b>1.3. მონაწილეობა სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებში</b></p> <p>აღნიშნული კომპეტენცია ეხება მონაწილეობის ძირითად ასპექტებს, განსხვავებულ მასშტაბებს და მექანიზმებს, რომლებიც მნიშვნელოვანია აქტიური ჩართულობისთვის</p>	<p>მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განმარტოს თეორიები და ცნებები პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ, კულტურულ და გარემოს დონეებზე;</li> <li>• გაიგოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პროცესებში ჩართულობა მშვიდობიან ცხოვრებასა და მშვიდობის აღმშენებლობაში წვლილის შეტანისათვის;</li> <li>• განსაზღვროს, თუ რატომ არის მონაწილეობის</li> </ul>	<p>პოლიტიკური მონაწილეობა</p> <p>სოციალური მონაწილეობა</p> <p>ეკონომიკური მონაწილეობა</p> <p>კულტურული მონაწილეობა</p> <p>გარემოსდაცვითი მონაწილეობა</p> <p>მონაწილეობის მექანიზმები</p> <p>საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები</p>



	<p>ზოგიერთი ფორმა პოზიტიური და სხვა ფორმა ზიანის მომტანი ინდივიდებისთვის, საზოგადოებისთვის და ეკოსისტემისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაიაზროს პროცესებში ჩართულობის და მონაწილეობის პასუხისმგებლობა და მნიშვნელობა;</li> <li>• შეაფასოს ჩაერთვულობის და არმონაწილეობის რისკები;</li> <li>• აღმოაჩინოს სხვადასხვა დონეზე მონაწილეობის გამოწვევები და მხარდამჭერი ფაქტორები</li> </ul>	
--	--	--

**4. მშვიდობიანი ცხოვრების კომპეტენცია**

მშვიდობიანი ცხოვრების კომპეტენციის სფერო მოიცავს იმ კომპეტენციებს, რომლებიც დაკავშირებულია ჰარმონიულ თანაარსებობასთან საკუთარ თავთან, ყველა ცოცხალ არსებასთან და ეკოსისტემასთან მიმართებაში

კომპეტენცია	სასწავლო ამოცანები	ძირითადი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები
1. იყო მშვიდობიანი	მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:	კონფლიქტების მართვის,



<p>ეს კომპეტენცია ეხება ყოველდღიურ ცხოვრებაში მშვიდობის არსებობას. აღნიშნულ კომპეტენციაზე ფოკუსირებით, მონაწილე გამოიმუშავებს უნარს, მართოს მშვიდობიანად შინაგანი, სოციალური და გარემოში არსებული კონფლიქტები.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაიგოს მშვიდობიანი ცხოვრების და სამშვიდობო მიდგომების აუცილებლობის შესახებ;</li> <li>• გაიგოს ძალადობის შედეგად მიყენებულ ზიანზე და ცხოვრებაში გამოიყენოს არაძალადობრივი მიდგომები;</li> <li>• მეტად გამოიყენოს არაძალადობრივი კომუნიკაცია საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან და ეკოლოგიასთან მიმართებაში;</li> <li>• ეძიოს გზები მშვიდობიანად ცხოვრებისათვის და გამოიყენოს ისინი;</li> <li>• გამოიყენოს კონფლიქტების მართვის, გადაჭრის და ტრანსფორმაციის უნარები.</li> </ul>	<p>გადაჭრის და ტრანსფორმაციის უნარები</p> <p>არაძალადობრივი არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარები</p> <p>ემოციური ინტელექტი</p> <p>ემპათია</p> <p>დიალოგის წარმართვის უნარები</p> <p>მედიტაცია</p> <p>სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი</p>
<p><b>2. სამყაროსთან ჰარმონიაში ცხოვრება</b></p> <p>აღნიშნული კომპეტენცია ეხება შინაგან, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დონეებს</p>	<p>მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაიგოს შინაგან და გარე სამყაროსთან ჰარმონიულად</li> </ul>	<p>კონფლიქტის ტრანსფორმაცია</p> <p>ემოციური ინტელექტი</p>





<p>შორის ბალანსის პოვნის მნიშვნელობას. ამ კომპეტენციაზე ყურადღების გამახვილებით, მონაწილე ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს. ისინი ეხმარება მას იმ მექანიზმებისა და ინსტრუმენტების აღმოჩენაში, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია რეაგირება ბალანსის დარღვევის გამოწვევებზე.</p>	<p>თანაცხოვრების მნიშვნელობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვროს ნეგატიური გრძობების გამომწვევ სიტუაციებთან გასამკლავებლად საჭირო ინსტრუმენტები;</li> <li>• აღიაროს საკუთარ თავთან, სხვებთან თუ სამყაროსთან მშვიდობიანი არსებობის მნიშვნელობა და წახალისოს ის;</li> <li>• აღმოაჩინოს საკუთარ თავთან, სხვებთან და ეკოსისტემასთან ჰარმონიულად ცხოვრების გამოწვევები და მხარდამჭერი ფაქტორები.</li> </ul>	<p>არაძალადობრივი კომუნიკაცია</p> <p>ემპათია</p> <p>კრიტიკული აზროვნება</p> <p>კონფლიქტების მართვისას კონსტრუქციული მიდგომა</p> <p>კონფლიქტის ანალიზი, მიზეზები და 'აქტორები'</p> <p>პრობლემების გადაჭრა</p> <p>კონფლიქტის ანალიზის ინსტრუმენტები</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იდენტობის გაგება და მრავალფეროვნების მიმღებლობა</b></li> </ul> <p>აღნიშნული კომპეტენცია ეხება იდენტობის ღირებულებასა და მრავალფეროვნებას. აღნიშნულ კომპეტენციაზე</p>	<p>მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვროს იდენტობის და განსხვავებულობის ცნებები;</li> <li>• აღმოაჩინოს მრავალფეროვნების ფორმები შინაგან, სოციალურ და</li> </ul>	<p>იდენტობის აღმოჩენა (პიროვნული, თემის, საზოგადოების, გლობალური)</p> <p>საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბება</p>



<p>ფოკუსირებით, მონაწილე იგებს მეტს საკუთარ იდენტობაზე, განსხვავებულობასა და მრავალფეროვნების ბუნებაზე.</p>	<p>ეკოლოგიურ დონეზე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიიღოს მრავალფეროვნება და განსხვავებულობა;</li> <li>• გამოიმუშაოს პატივისცემა განსხვავებულ ჯგუფებში არსებული განსხვავებული მოსაზრებებისადმი;</li> <li>• დაინახოს თემში, საზოგადოებაში და სრულიად მსოფლიოში განსხვავებულობის და მრავალფეროვნების არსებობის დადებითი მხარე;</li> <li>• განასხვავოს მრავალფეროვნებას თან დაკავშირებით არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები.</li> </ul>	<p>გაგება და მიმღებლობა</p> <p>განსხვავებულობის მიმღებლობა</p> <p>ემპათია</p> <p>კრიტიკული აზროვნება</p> <p>სამართლიანობა და თანასწორობა</p> <p>ღიაობა</p>
---	---	--

### 5. მშვიდობის აღმშენებლობის კომპეტენცია

მშვიდობის აღმშენებლობის კომპეტენცია იმ კომპეტენციათაგანია, რომელიც საჭიროა მშვიდობის აღმშენებლობის აქტივობების ინიცირებისთვის ადგილობრივი დონიდან გლობალურ დონემდე შინაგან, სოციალურ და გარემო კონფლიქტებთან მიმართებაში.



კომპეტენცია	სასწავლო ამოცანები	ძირითადი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები
<p><b>1. ადვოკატირება</b> <b>ა</b> <b>მშვიდობისათვის</b></p> <p>აღნიშნული კომპეტენცია ეხება სამშვიდობო პროცესებში თემის, ქვეყნის თუ რეგიონის დონეზე ადვოკატირების კამპანიის წახალისების მნიშვნელობას. ამ კომპეტენციაზე ფოკუსირებით, მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა, მოახდინოს ძალადობრივი რეალობის მშვიდობიანი ტრანსფორმაცია. მოცემულ კონტექსტში, მონაწილეს ასევე აქვს შესაძლებლობა განავითაროს ადვოკატირების კამპანიის სტრატეგიები სამხრეთ კავკასიაში გარკვეული</p>	<p>მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აიმაღლოს ყოვლისმომცველი ცოდნა მშვიდობისა და კონფლიქტის საკითხებზე;</li> <li>• შეიძინოს საჭირო უნარები და ინსტრუმენტები მშვიდობის კულტურის ადვოკატირებისთვის;</li> <li>• აღიაროს სამშვიდობო პროცესების ადვოკატირება, როგორც საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობა;</li> <li>• გააძლიეროს ეთიკური სტანდარტები, მორალური ღირებულებები, კეთილსინდისიერება, ყველა ადამიანის, არსებებისა და ეკოსისტემის უფლებების ცოდნა და ამ უფლებებისადმი პატივისცემა.</li> </ul>	<p>მშვიდობის და კონფლიქტის გაგება</p> <p>მოქმედება ღირებულებების შესაბამისად</p> <p>სოციალური პასუხისმგებლობა</p> <p>ეთიკა და პატივისცემა</p> <p>ანალიტიკური უნარები</p> <p>ადვოკატირება</p> <p>სტრატეგიული კამპანიები</p>



<p>ჯგუფების მიმართ მშვიდობაზე მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო არსებული სტიგმის წინააღმდეგ.</p>		
<p><b>2. კონფლიქტები ს ტრანსფორმაცია</b></p> <p>აღნიშნული კომპეტენცია ეხება სხვა დანარჩენ ძირითად ასპექტებს, რომელთა შექმნაც მოწოდებს შეუძლია საზოგადოებაში კულტურული, სტრუქტურული და პირდაპირი ძალადობის ცვლილებებზე მუშაობისას</p>	<p>მოწოდებს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაზარდოს კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესაძლებლობები არაძალადობრივი გზით მდგრადი მშვიდობის აღმშენებლობისთვის;</li> <li>• გაზარდოს სხვათა გრძნობების, მდგომარეობის გაგება, ემპათიის დონე;</li> <li>• განავითაროს კრიტიკული აზროვნების უნარები კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესების წარსამართად და შესაფასებლად;</li> <li>• გამოიყენოს მასობრივი მობილიზაციის და სტრატეგიული არაძალადობრივი აქტივობების ძალა კონფლიქტების ტრანსფორმაციისათვის ;</li> </ul>	<p>კონფლიქტების ტრანსფორმაცია</p> <p>არაძალადობრივი კომუნიკაცია</p> <p>ემპათია და განსხვავებულობის აღიარება</p> <p>კრიტიკული აზროვნება</p> <p>მედიაცია და მოლაპარაკებების უნარები</p> <p>მოწოდებს და თემის განვითარება</p>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააუმჯობესოს მოლაპარაკებების და მედიაციის უნარები ძალადობრივი კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის;</li> <li>• გაიზაროს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მოახდინოს ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფა და შექმნას ცვლილების ტრანსფორმაციული გზები.</li> </ul>	
<p><b>3. მშვიდობის აღმშენებლობაზე მიმართული პროექტის დიზაინი, დაგეგმარება, მართვა, მონიტორინგი და შეფასება</b></p> <p>აღნიშნული კომპონენტი ეხება პროექტებზე მუშაობისას სამშვიდობო ელემენტების ინტეგრირებას.</p>	<p>მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოახდინოს სხვადასხვა თემაზე არსებულ პროექტებში სამშვიდობო კულტურის ჩართვა როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტის;</li> <li>• გახადოს პროექტი უფრო გამჭვირვალე და ლოგიკური;</li> <li>• მოახდინოს სამშვიდობო ელემენტების მქონე მულტიდისციპლინარული პროექტების დიზაინი, დაგეგმარება, მართვა, მონიტორინგი და შეფასება;</li> </ul>	<p>სოციალური პასუხისმგებლობა</p> <p>პროექტის დიზაინის/ დაგეგმარების/ მენეჯმენტის/ მონიტორინგის/ შეფასების უნარები</p> <p>კომუნიკაციის და ურთიერთობის უნარები</p> <p>ლიდერობის და გუნდში მუშაობის უნარები</p> <p>კვლევითი უნარები</p>



	<ul style="list-style-type: none"><li>• პროექტის განხორციელების განმავლობაში იყოს მოტივირებული ლიდერი, რომელიც მხარს უჭერს მშვიდობის და ჰარმონიის დირეზულეებს;</li><li>• კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხების შესწავლისას გამოიყენოს კვლევითი მეთოდები და უნარები.</li></ul>	
--	--	--